FIS_P_1140_004 Rev.03

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროექტი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონტაქტი

Fichtner GmbH & Co. KG
Sarweystrasse 3
70191 Stuttgart
Germany
www.fichtner.de

ენტონი ჰუმენიუკი
+49 (711) 8995 1930
+49 (163) 8995 806
antony.humeniuk@fichtner.de

Fichtner GmbH & Co. KG
შტუდგარტი

დოკუმენტის დამტკიცება

	სახელი, გვარი	ხელმოწერა	თანამდებობა	თარიღი
ავტორი:	გვანცა ლუკავა		სოციალურ საკითხთა ექსპერტი - PMCG	09.12..2025
შეამოწმა:	ენტონი ჰუმენიუკ		პროექტის მენეჯერი	09.12..2025
დაამტკიცა:	ენტონი ჰუმენიუკ		პროექტის მენეჯერი	09.12.2025

დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები

ცვლ.	თარიღი	შესწორება	დოკ. ნომერი	ავტორი	შეამოწმა
0	20.08.2024	დრაფტი	KRMS7NWJWRF2-1750202710-1644	ელენ ფერონატო	ენტონი ჰუმენიუკი
1	03.12.2024	განახლება	KRMS7NWJWRF2-1750202710-1644	ელენ ფერონატო	ენტონი ჰუმენიუკი
2	19.12.2024	განახლება	KRMS7NWJWRF2-1750202710-7440 / v0.2	ელენ ფერონატო	ენტონი ჰუმენიუკი
3	21.02.2024	განახლება, KfW-ს შენიშვნებით	KRMS7NWJWRF2-1750202710-8305 / v0.3	ენტონი ჰუმენიუკი	ენტონი ჰუმენიუკი
4	09.12.2025	განახლება, მუნიციპალური განვითარების ფონდის შენიშვნით	XXX	გვანცა ლუკავა	ენტონი ჰუმენიუკი

დათქმა

დოკუმენტში მოყვანილი ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ „ფიხტნერის“ კლიენტისა და კონტრაქტით განსაზღვრული სხვა ადრესატებისთვის. მესამე პირებისთვის დოკუმენტის სრულად ან ნაწილობრივ გაცნობა დასაშვებია მხოლოდ კლიენტის თანხმობით. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე „ფიხტნერი“მესამე პირების წინაშე პასუხისმგებელი არ არის.

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები

1 შესავალი / პროექტის აღწერა 7

1.1 შესავალი 7

2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი / აღწერა 11

3 დაინტერესებული მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი 13

3.1 მეთოდოლოგია 13

3.2 ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები და სხვა დაინტერესებული მხარეები 13

3.3 დაუცველი / მოწყვლადი პირები ან ჯგუფები 16

4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა 17

4.1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეჯამება პროექტის მომზადების ეტაპზე 17

4.2 პროექტის დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების, ასევე ჩართულობის მეთოდების და ინსტრუმენტების შეჯამება 17

4.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა 17

4.4 ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა წინაშე 23

5 რესურსები და პასუხისმგებლობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებების განხორციელებისთვის 24

5.1 რესურსები 24

5.2 მმართველობითი ფუნქციები და პასუხისმგებლობები 25

6 საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) 26

6.1 საჩივრების განხილვის მექანიზმის აღწერა 26

6.2 დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საჩივრების განხილვის მექანიზმზე 28

7 მონიტორინგი და ანგარიშგება 30

7.1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების შეჯამება 30

7.2 ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წინაშე 30

დანართები 31

დანართი „A“: კონსულტაციების ოქმის ნიმუში 31

დანართი „B“: მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრების განხილვის პროცესის სქემა..32
დანართი „C“: მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრის ფორმა.....33
დანართი „D“. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებების ზოგადი განრიგი.....35

აბრევიატურები და აკრონიმები

CO2 – ნახშირორჟანგი
CSOs – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
EE – ენერგოეფექტურობა

ESMF – გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო
ESMP გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ESS – გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები
GR – საჩივრის განხილვა
GRM – საჩივრების განხილვის მექანიზმი
IA – განმახორციელებელი სააგენტო
MoESY – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
KfW – გერმანიის განვითარების ბანკი
LEPL – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MDF – მუნიციპალური განვითარების ფონდი
NGOs – არასამთავრობო ორგანიზაციები
PAP – პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
PMCG – პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი
PIC – პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი
PMU – პროექტის მართვის ჯგუფი
PWDs – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
SEP – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
WB – მსოფლიო ბანკი

1 შესავალი / პროექტის აღწერა

1.1 შესავალი

დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმა აღწერს დაინტერესებულ მხარეებთან დაგეგმილი კონსულტაციის და ჩართულობის პროცესს, რომელიც ხორციელდება „ღია პროგრამა ენერგოეფექტურობა - საქართველოს საჯარო შენობების ენერგოეფექტურობა“ ფარგლებში.

პროექტის მიზანია ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, საქართველოს განათლების სექტორის საჯარო დაწესებულებების შერჩეული შენობების (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სკოლების) რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის გზით, ასევე ამ შენობების მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდა. შენობების ენერგოეფექტურობის აღდგენის და სტრუქტურული გამაგრების ღონისძიებები შექმნის კომფორტის საბაზისო დონეს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. ამასთან, საჯარო სკოლების შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება მიზნად ისახავს კლიმატის დაცვის ხელშეწყობას ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებისა და მომხმარებლის კმაყოფილების ზრდის მეშვეობით.

პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მდებარე მაქსიმუმ 50 სკოლის მოდერნიზაცია. პროექტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სამუშაოები, მასალებისა და მომსახურებების მიწოდება შერჩეული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაციისთვის, კერძოდ, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების სამუშაოები, სტრუქტურული რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, რაც მოიცავს ენერგიის მოხმარების მართვის გაუმჯობესებას და შენობების ექსპლუატაციის ოპტიმიზაციას.

სტრუქტურული მდგრადობის ზომები შენობების ეფექტური ექსპლუატაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და მოიცავს სახანძრო უსაფრთხოებას, წყალარინებისა და დრენაჟის სისტემებს, სახურავის შეკეთებას, ფასადის განახლებას, ელექტრომომარაგების სისტემას, სტრუქტურულ გაფართოებას/რეკონსტრუქციას და სხვა სარემონტო სამუშაოებს. კომფორტის ზრდის სამუშაოების მიზანია მომხმარებელთა პირობების, სწავლისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის სანიტარული კვანძების განახლება და ზაფხულის სიცხისგან დაცულობის ზრდა. ენერგოეფექტურობის ღონისძიებები მოიცავს დამატებით თბოიზოლაციას, გათბობის სისტემების განახლებას და სხვ. ამ მიმოხილვის ფარგლებში, კონსულტანტი ასევე წარმოადგენს და განახორციელებს ინოვაციურ ღონისძიებებს, გამოიყენებს თანამედროვე მეთოდებს და მასალებს.

პროექტი ორიენტირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკუთრებაში არსებული სკოლების გაუმჯობესებაზე, რომლებიც მდებარეობს როგორც ურბანულ ზონებში, ისე სოფლად. წინასწარ სიაში 50 სკოლაა, შემდეგი რეგიონებიდან: გურია, ქვემო ქართლი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი.

ცხრილი 1 - სკოლების ჩამონათვალი

#	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ქალაქის / სოფლის	სკოლა
1	გურია	ოზურგეთი	ქალაქის	ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა
2	გურია	ოზურგეთი	ქალაქის	ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა
3	ქვემო ქართლი	გარდაბანი	სოფლის	ქესალოს საჯარო სკოლა
4	ქვემო ქართლი	გარდაბანი	სოფლის	ვაზიანის №2 საჯარო სკოლა
5	იმერეთი	ზესტაფონი	ქალაქის	ზესტაფონის №3 საჯარო სკოლა
6	იმერეთი	ზესტაფონი	ქალაქის	ზესტაფონის №5 საჯარო სკოლა
7	იმერეთი	ჭიათურა	სოფლის	ითხვისის №1 საჯარო სკოლა
8	იმერეთი	ჭიათურა	ქალაქის	ჭიათურის №2 საჯარო სკოლა
9	კახეთი	გურჯაანი	ქალაქის	გურჯაანის №1 საჯარო სკოლა
10	კახეთი	საგარეჯო	ქალაქის	საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა
11	კახეთი	გურჯაანი	სოფლის	ვაზისუბნის საჯარო სკოლა
12	კახეთი	გურჯაანი	ქალაქის	გურჯაანის №2 საჯარო სკოლა
13	კახეთი	თელავი	სოფლის	კარაჯალას საჯარო სკოლა
14	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	სოფლის	ჟინვალის საჯარო სკოლა
15	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	სოფლის	მჭადიჯვრის საჯარო სკოლა
16	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქალაქის	რუსთავის №24 საჯარო სკოლა
17	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქალაქის	რუსთავის №10 საჯარო სკოლა
18	იმერეთი	ქუთაისი	ქალაქის	ქუთაისის №24 საჯარო სკოლა
19	იმერეთი	ქუთაისი	ქალაქის	ქუთაისის №40 საჯარო სკოლა
20	იმერეთი	ქუთაისი	ქალაქის	ქუთაისის №15 საჯარო სკოლა
21	იმერეთი	წყალტუბო	ქალაქის	წყალტუბოს №2 საჯარო სკოლა
22	იმერეთი	წყალტუბო	ქალაქის	წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა
23	იმერეთი	ხონი	ქალაქის	ხონის №2 საჯარო სკოლა
24	კახეთი	ახმეტა	სოფლის	ქვემო ალვანის საჯარო სკოლა
25	კახეთი	ახმეტა	ქალაქის	ახმეტის №1 საჯარო სკოლა
26	კახეთი	დედოფლისწყარო	ქალაქის	დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა
27	შიდა ქართლი	გორი	ქალაქის	გორის №6 საჯარო სკოლა
28	შიდა ქართლი	კარელი	ქალაქის	კარელის №2 საჯარო სკოლა
29	შიდა ქართლი	ხაშური	ქალაქის	ხაშურის №3 საჯარო სკოლა
30	შიდა ქართლი	გორი	სოფლის	კარალეთის №1 საჯარო სკოლა
31	შიდა ქართლი	გორი	ქალაქის	გორის №8 საჯარო სკოლა
32	შიდა ქართლი	ხაშური	სოფლის	ალის საჯარო სკოლა
33	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	სოფლის	ვაჩიანის საჯარო სკოლა
34	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	ქალაქის	ბორჯომის №1 საჯარო სკოლა
35	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	სოფლის	ახალდაბის საჯარო სკოლა

#	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ქალაქის / სოფლის	სკოლა
36	ქვემო ქართლი	დმანისი	ქალაქის	დმანისის №2 საჯარო სკოლა
37	ქვემო ქართლი	დმანისი	ქალაქის	დმანისის №1 საჯარო სკოლა
38	შიდა ქართლი	ხაშური	სოფლის	გომის საჯარო სკოლა
39	შიდა ქართლი	ხაშური	ქალაქის	ხაშურის №7 საჯარო სკოლა
40	შიდა ქართლი	ხაშური	სოფლის	სურამის №4 საჯარო სკოლა
41	ქვემო ქართლი	ბოლნისი	სოფლის	ნახიდურის საჯარო სკოლა
42	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	სოფლის	კოდის საჯარო სკოლა
43	ქვემო ქართლი	მარნეული	ქალაქის	მარნეულის №6 საჯარო სკოლა
44	ქვემო ქართლი	ბოლნისი	სოფლის	რატევანის საჯარო სკოლა
45	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	ქალაქის	თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლა
46	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	სოფლის	ძალისის საჯარო სკოლა
47	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	სოფლის	გალავნის საჯარო სკოლა
48	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქალაქის	რუსთავის №16 საჯარო სკოლა
49	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქალაქის	რუსთავის №11 საჯარო სკოლა
50	ქვემო ქართლი	რუსთავი	ქალაქის	რუსთავის №23 საჯარო სკოლა



#	Region	Minicipality	Urban/Rural	School	students	#	Region	Minicipality	Urban/Rural	School	students	#	Region	Minicipality	Urban/Rural	School	students
1	Kvemo Kartli	Gardabani	Rural	Kesalo Public School	984	18	Shida Kartli	Gori	Urban	Gori #6 Public School	615	35	Mtskheta-mtianeti	Dusheti	Rural	Jinwali Public School	488
2	Kvemo Kartli	Gardabani	Rural	Vaziani #2 Public School	541	19	Shida Kartli	Kareli	Urban	Kareli #2 Public School	616	36	Mtskheta-mtianeti	Dusheti	Rural	Michadjvari Public School	120
3	Kvemo Kartli	Rustavi	Urban	Rustavi #24 Public School	1,236	20	Shida Kartli	Khashuri	Urban	Kashuri #6 Public School	922	37	Mtskheta-mtianeti	Mtskheta	Rural	Dzalisi Public School	302
4	Kvemo Kartli	Rustavi	Urban	Rustavi #10 Public School	670	21	Shida Kartli	Gori	Rural	Karaleti #1 Public School	417	38	Mtskheta-mtianeti	Mtskheta	Rural	Galavani Public School	297
5	Kvemo Kartli	Dmanisi	Urban	Dmanisi #2 Public School	237	22	Shida Kartli	Gori	Urban	Gori #8 Public School	398	39	Imereti	Kutaisi	Urban	Kutaisi #24 Public School	436
6	Kvemo Kartli	Dmanisi	Urban	Dmanisi #1 Public School	369	23	Shida Kartli	Khashuri	Rural	Ali Public School	123	40	Imereti	Kutaisi	Urban	Kutaisi #40 Public School	776
7	Kvemo Kartli	Bolnisi	Rural	Nikhaduri Public School	638	24	Shida Kartli	Khashuri	Rural	Gomi Public School	152	41	Imereti	Kutaisi	Urban	Kutaisi #15 Public School	503
8	Kvemo Kartli	Tetritskaro	Rural	Koda Public School	578	25	Shida Kartli	Khashuri	Urban	Khashuri #7 Public School	308	42	Imereti	Tskaltubo	Urban	Tskaltubo #2 Public School	768
9	Kvemo Kartli	Marneuli	Urban	Marneuli #6 Public School	1,596	26	Shida Kartli	Khashuri	Rural	Surami #4 Public School	555	43	Imereti	Tskaltubo	Urban	Tskaltubo #1 Public School	764
10	Kvemo Kartli	Bolnisi	Rural	Ratevani Public School	248	27	Kakheti	Gurjaani	Urban	Gurjaani #1 Public School	468	44	Imereti	Khoni	Urban	Khoni #2 Public School	430
11	Kvemo Kartli	Tetritskaro	Urban	Tetritskaro #1 Public School	289	28	Kakheti	Sagarejo	Urban	Sagarejo #1 Public School	719	45	Imereti	Zestafoni	Urban	Zestafoni #3 Public School	354
12	Kvemo Kartli	Rustavi	Urban	Rustavi #16 Public School	614	29	Kakheti	Gurjaani	Rural	Vazisubani Public School	305	46	Imereti	Zestafoni	Urban	Zestafoni #5 Public School	665
13	Kvemo Kartli	Rustavi	Urban	Rustavi #11 Public School	950	30	Kakheti	Gurjaani	Urban	Gurjaani #2 Public School	694	47	Imereti	Chiatura	Rural	Itkhvisi #1 Public School	120
14	Kvemo Kartli	Rustavi	Urban	Rustavi #23 Public School	1,181	31	Kakheti	Telavi	Rural	Karajala Public School	599	48	Imereti	Chiatura	Urban	Chiatura #2 Public School	656
15	Samtskhe-javakheti	Akhalkalaki	Rural	Vachiani Public School	337	32	Kakheti	Akhmeta	Rural	Kvemo Alvani Public School	383	49	Guria	Ozurgeti	Urban	Ozurgeti #4 Public School	983
16	Samtskhe-javakheti	Borjomi	Urban	Borjomi #1 Public School	528	33	Kakheti	Akhmeta	Urban	Akhmeta #1 Public School	346	50	Guria	Ozurgeti	Urban	Ozurgeti #2 Public School	1,062
17	Samtskhe-javakheti	Borjomi	Rural	Akhaldaba Public School	193	34	Kakheti	Dedoplistskaro	Urban	Dedoplistskaro #2 Public School	146						

სურათი 1: სკოლების მიახლოებითი მდებარეობის რუკა

შერჩეული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები რამდენიმე ფაზად განხორციელდება. თითოეული ფაზა ორიენტირებული იქნება შენობების ერთ კლასტერზე. მომსახურებაში გათვალისწინებულია ტექნიკური პროექტის შემუშავება, ტენდერის პროცესი, სამშენებლო სამუშაოები და დეფექტების აღმოფხვრის პერიოდს.

პროექტის განხორციელების საერთო პერიოდია 63 თვე. დამატებით გათვალისწინებულია დეფექტების დაფიქსირების 12 თვიანი პერიოდი.

პროექტი მზადდება მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად. ESS10 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის თანახმად, რომელიც ეხება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და ინფორმაციის მიწოდებას. განმახორციელებელმა უწყებამ დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიაწოდოს დროული, შესაბამისი, გასაგები ინფორმაცია და გამართოს კონსულტაციები კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმით, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციის ან ზეწოლის გარეშე.

2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი / აღწერა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანია ჩამოყალიბდეს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ყოვლისმომცველი პროგრამა, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის გავრცელებასა და კონსულტაციების ხელშეწყობას პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ზოგად ჩარჩოს, იმის გათვალისწინებით, რომ გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად გადაისინჯება პროექტის განხორციელების პროცესში. იგი განახლდება საჭიროებისამებრ, ახალი აქტივობებისას, პროექტის დიზაინში ცვლილებებისას, ან ახალი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისას.

მთლიანობაში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანია განისაზღვროს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროგრამა, რაც მოიცავს საჯარო ინფორმაციის გაცემას და კონსულტაციებს პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა აღწერს გზებს, რომელთა მეშვეობითაც პროექტის გუნდი დაამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან,ის ასევე მოიცავს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ წამოჭრან კითხვები,, გააზიარონ უკუკავშირიან დააფიქსირონ საჩივრები პროექტთან საქმიანობის ან პროექტთან დაკავშირებული სხვა აქტივობების შესახებ. ,

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმით განსაზღვრულია მიდგომები, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება მუნიციპალური განვითარების ფონდის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პროექტის კონსულტანტისა და კონტრაქტორის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, პროექტის სარგებლის შესაძლო ვერმიღების თვალსაზრისით.

პროექტი უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში აღწერილი კომუნიკაციის სტრატეგიების განხორციელებას ორმხრივი კომუნიკაციის ფორმატში. აღნიშნული პროცესი გულისხმობს:

- პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე დაწყებას, რათა შეგროვდეს საწყისი მოსაზრებები და წინადადებები პროექტზე და ამის შესახებ მოხდეს პროექტის დიზაინერის ინფორმირება;
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებას პროექტის დიზაინის ფორმირებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების/ზემოქმედების იდენტიფიცირების და შერბილების მიზნით;
- უწყვეტობას პროექტის მთელ პერიოდში, რისკებისა და ზემოქმედებების ანალიზს;
- დაეფუძნოს რელევანტური, გამჭვირვალე, ობიექტური, შინაარსობრივად მნიშვნელოვანი და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის წინასწარ გავრცელებას, რომელიც დროულად მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს სრულფასოვანი კონსულტაციების ჩატარების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით და ადგილობრივ ენებზე, რაც უზრუნველყოფს მის

გასაგებობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებასა და რეაგირებას;

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფთა აქტიური და ინკლუზიური ჩართულობის ხელშეწყობას;
- გარე ზეწოლის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და ზეწოლის პრევენციას;
- პროცესის დოკუმენტირებასა და საჯარო ხელმისაწვდომობას.

3 დაინტერესებული მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი

3.1 მეთოდოლოგია

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა წარმოებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ღიაობა და უწყვეტობა: პროექტთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციები განხორციელდება პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში, გამჭვირვალედ, მანიპულაციის, ჩარევის, იძულების და ზეწოლის გარეშე.

- ინფორმირება და უკუკავშირი: ყველა დაინტერესებულ მხარეს ინფორმაცია მიეწოდება და გადაეცემა ადეკვატური და ხელმისაწვდომი ფორმატით; უზრუნველყოფილი იქნება პლატფორმები დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მისაღებად, მათ შორის მოსაზრებების, კომენტარებისა და წამოჭრილი საკითხების შესაფასებლად და შესაბამისი რეაგირებისთვის.
- ინკლუზიურობა და სენსიტიურობა: დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება ხორციელდება ეფექტური კომუნიკაციისა და ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. პროექტის მონაწილეობითი პროცესი ინკლუზიურია — ყველა დაინტერესებული მხარე მუდმივად წახალისებულია ჩაერთოს კონსულტაციების პროცესში. უზრუნველყოფილია თანაბარი წვდომა ინფორმაციაზე ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ჩართულობის მეთოდების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებზე მგრძნობელობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოწყვლად ჯგუფებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში),
- რომლებიც შეიძლება პროექტის სარგებელის მიღმა დარჩნენ.
-

3.2 ზემოქმედების ქვეშ მყოფი და სხვა დაინტერესებული მხარეები

ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეები არიან ის ინდივიდები, ჯგუფები ან თემები, რომლებზეც პროექტი ახდენს პირდაპირ ან ირიბ, დადებით ან უარყოფით ზემოქმედებას. მათ აქვთ პირდაპირი ინტერესი პროექტის შედეგებში და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის განხორციელებაზე ან თავად იყვნენ მისი ზემოქმედების ქვეშ. ამ მხარეთა ინტერესებისა და შესაძლო ზემოქმედების გააზრება მნიშვნელოვანია, იმის შესაფასებლად, თუ როგორ იმოქმედებს პროექტი ფართო საზოგადოებასა და მის სხვადასხვა წევრებზე..

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- საჯარო სკოლების ბენეფიციარები – ჯგუფი მოიცავს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს. ისინი პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ექცევიან სკოლის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული

ცვლილებების, უსაფრთხოების ზომების გაძლიერებისა და საგანმანათლებლო რესურსების განახლების შედეგად.. შესაძლო დადებითი ზემოქმედება მოიცავს გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურასა და პირობებს, ხოლო უარყოფით ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს მშენებლობის პროცესით გამოწვეული შეფერხებები ან სკოლის ყოველდღიური რუტინის ცვლილება..

- სკოლის მიმდებარედ მცხოვრებნი (ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესის მფლობელები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) – აღნიშნულ ჯგუფში შედიან სკოლასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა და მცირე ბიზნესის მფლობელები. სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მათი ცხოვრების ხარისხზე – მათ შორის ხმაურის, მოძრაობის შეზღუდვისა და გარემოზე ზემოქმედების სახით. მიუხედავად ამისა, სკოლის ინფრასტრუქტურის გრძელვადიანმა გაუმჯობესებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ადგილობრივი გარემო – გაზარდოს ქონების ღირებულება და გაზარდოს უბნის მიმზიდველობა და ფუნქციურობა.
- მშობლები და მეურვეები – მშობლებსა და მეურვეებს პროექტის შედეგებზე პირდაპირი ინტერესი აქვთ , რადგან იგი გავლენას ახდენს მათი შვილების სასწავლო გარემოზე. დადებითი გავლენა მოიცავს გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურასა და უკეთეს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. თუმცა, შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული შეშფოთება სწავლის განრიგის შესაძლო შეფერხების გამო.
- დაუცველი ან მოწყვლადი ჯგუფები – აღნიშნულ ჯგუფში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები, დაბალი შემოსავლის მქონე მოსწავლეები და ხანდაზმული მასწავლებლები. მოწყვლად ჯგუფებზე შესაძლოა პროექტმა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა იქონიოს. პროექტს აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა, თუმცა, აუცილებელია ფრთხილი დაგეგმვა, რათა მოხდეს ამ ჯგუფების თანაბრად ჩართვა და გათვალისწინება როგორც მშენებლობის, ისე ახალი ინფრასტრუქტურის დაგეგმვის ეტაპებზე.

დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჯგუფი

პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების გარდა, არსებობს რამდენიმე დაინტერესებული მხარე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროექტის წარმატებით განხორციელებასა და მის ფართო ზემოქმედებაზე. ეს მხარეებია:

- სახელმწიფო უწყებები – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენენ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც მეთვალყურეობას და მხარდაჭერას უწევენ პროექტს, ეროვნულ და ადგილობრივ განვითარების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეს მხარეები დაინტერესებულნი არიან, რომ პროექტი შეესაბამებოდეს განათლების და გარემოს დაცვის პოლიტიკას, ასევე განახორციელონ პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი. შესაძლო ზემოქმედებაში შედის დამატებითი მეთვალყურეობა, დასამტკიცებელი პროცედურების საჭიროება და სხვა სამთავრობო ინიციატივებთან კოორდინაციის აუცილებლობა.

- პროექტის კონსულტანტი – კომპანია „ფიხტნერი“ პროექტის განხორციელებაში ასრულებს საკვანძო როლს, მართვისა და ზედამხედველობის კუთხით. მის ინტერესში შედის პროექტის დროული, შესაბამისი სტანდარტების და ბიუჯეტის დაცვით

შესრულება. კონსულტანტის საქმიანობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ თემებზე, მშენებლობის ფაზაში მიღებული გადაწყვეტილებებით და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით.

- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო ორგანიზაციები – მათი ინტერესია პროექტის ინკლუზიურობა, გარემოს დაცვა და დარწმუნება, რომ პროექტს ადგილობრივი საზოგადოებისათვის მოაქვს გრძელვადიანი სარგებელი. მათი მონაწილეობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის უფლებების დაცვასთან, დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერასთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასთან. ადგილობრივ თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მოწყვლადი ჯგუფების მიერ პროექტით სარგებლის მიღებას, სოციალური დახმარების ან საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობით.

- ეროვნული და ადგილობრივი მედია – მედია საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობისა და გამოწვევების შესახებ. მედიას შეუძლია ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და გავლენა მოახდინოს პროექტის რეპუტაციაზე.

- ბიზნესის მფლობელები და მომსახურების პროვაიდერები – სკოლების მიმდებარედ არსებული ადგილობრივი ბიზნესები მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, რომლებზეც შესაძლოა პროექტმა რეაბილიტაციის პროცესში იქონიოს გავლენა. სამშენებლო სამუშაოების დროს, ბიზნესს შეიძლება შეექმნას ისეთი შეფერხებები, როგორიცაა ფეხით მოძრაობის შეფერხება, გზის დროებითი ჩაკეტვა ან ხმაური, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ვიზიტებზე. გარდა ამისა, მომსახურების პროვაიდერებს შეიძლება შეექმნათ შეფერხება მიწოდებასა და ლოგისტიკაში. თუმცა, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ შესაძლოა გაზარდოს მოთხოვნა ადგილობრივ მომსახურებებსა და პროდუქტებზე და ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობის ზრდას. სკოლის განახლებული ინფრასტრუქტურა ასევე შეიძლება მიმზიდველი აღმოჩნდეს ოჯახებისთვის და თემებისთვის, რაც ზრდის მომხმარებელთა აქტივობას და გრძელვადიან სარგებელს ადგილობრივი ბიზნესისთვის.

- კომუნალური მომსახურების პროვაიდერები – წყლის, ელექტროენერგიისა და ნარჩენების მართვის მომწოდებელი კომპანიები შესაძლოა პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურის განახლება იქნება საჭირო. მათი ძირითადი ინტერესებია მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნება, სამშენებლო სამუშაოებთან კოორდინაცია და განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი შეფერხებების ეფექტური მართვა..

სხვა დაინტერესებული მხარეები

- დამფინანსებელი სტრუქტურები– აღნიშნულ ჯგუფში შედიან ორგანიზაციები, რომლებიც პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ,, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა KfW. მათი მთავარი ინტერესია პროექტის ფინანსური მდგრადობა, პროექტის მიზნების მიღწევა და და შედეგების

ხარჯეფექტიანობა. ამადროულად, მნიშვნელოვანია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და მისი შესაბამისობა დაფინანსების კრიტერიუმებთან.

- სამშენებლო კომპანიები – სამშენებლო კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოებში. მათი ინტერესი დაკავშირებულია პროექტის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით, განსაზღვრულ ვადებში და ბიუჯეტში დასრულებასთან.. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ფაზამ შესაძლოა დროებითი შეფერხებები გამოიწვიოს, იგი ასევე ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობებს.
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინტერესშია, რომ საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტი თანხვედრაში მოვიდეს ურბანული განვითარების ფართო გეგმებთან და დადებითი წვლილი შეიტანოს ადგილობრივი თემის განვითარებაში. ამასთან, მუნიციპალიტეტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მოსახლეობის ჩართულობის პროცესში, ქმნიან პლატფორმას ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა მათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და დააფიქსირონ უკუკავშირი.

დაინტერესებულ მხარეთა მიმოხილვა და შესაძლო ზემოქმედება

დაინტერესებული მხარეების თითოეულ ჯგუფს განსხვავებული ინტერესები და პოტენციური ზემოქმედების ხარისხი აქვს.. როგორც წესი, დაინტერესებულ მხარეთა სურვილია პროექტი სასარგებლო იყოს ადგილობრივი მოსახლეობის და უწყებებისთვის და მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება. აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა ეფექტური ჩართულობა, მათი პრობლემების განხილვა, გამჭვირვალე კომუნიკაცია და შესაძლო რისკების მართვა. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შეჯამებაში (ცხრილი 2) წარმოდგენილია თითოეულ ჯგუფთან ურთიერთობის ფორმები პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში – დაგეგმვიდან განხორციელებამდე.

3.3 დაუცველი / მოწყვლადი პირები ან ჯგუფები

პროექტის ფარგლებში, მოწყვლად ან სოციალურად დაუცველ ჯგუფებად შეგვიძლია განვიხილოთ (არა მხოლოდ):

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები;
- მარტოხელა მშობლები და სოციალურად დაუცველი ოჯახები (დაბალშემოსავლიანი, ან შემოსავლის არმქონე ოჯახები);
- სკოლის ხანდაზმული თანამშრომლები.

მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება იმ თემებში, რომლებზეც პროექტი ზეგავლენას მოახდენს, შეიძლება საჭიროებისამებრ დამატებით განხორციელდეს მიზნობრივი კონსულტაციების გზით. ამ ჯგუფების პროცესში ჩართვის მეთოდები აღწერილია მომდევნო თავებში.

4 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროგრამა

4.1 პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეჯამება

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად, ამ დროისთვის შეჯამება არ არის მომზადებული. ეს ნაწილი განახლდება დეტალური ინფორმაციით, ჩართულობის პროცესის დაწყებისთანავე (დანართი „A“: კონსულტაციების ოქმის ნიმუში).

4.2 დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და ჩართულობის მეთოდების შეჯამება

შემოთავაზებულია ჩართულობის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ადაპტირებულია დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა საჭიროებასთან. ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი და ინსტრუმენტი, როგორიცაა საჯარო შეხვედრები, თემთან კონსულტაციები, ფოკუს ჯგუფების შეხვედრები (საჭიროების შემთხვევაში), ინდივიდუალური გასაუბრებები (საჭიროების შემთხვევაში), ინფორმაციის გავრცელება, ობიექტის მონახულება და საჩივრების განხილვის მექანიზმი. აღნიშნული მეთოდები მორგებულია დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფზე და შეჯამებულია ქვემოთ, №2 ცხრილში.

4.3 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ქვემოთ წარმოდგენილი გეგმა ასახავს ჩართულობის პროცესს, მეთოდებს, თანმიმდევრობას, კონსულტაციების თემატიკასა და მიზნობრივ დაინტერესებულ მხარეებს.

ცხრილი 2 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემაჯამებელი ცხრილი

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის თემა	გამოყენებული მეთოდი	პასუხისმგებელი	სიხშირე / განრიგი
სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე	სკოლის დირექტორი; სკოლის ტექნიკური პერსონალი;	პრეზენტაციები - პროექტის, საწყისი დეტალური დიზაინის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის, ასევე პროექტის რისკებისა და ზეგავლენის, საჩივრების განხილვის მექანიზმის და პროექტით მიღებული სარგებლის შესახებ.	პირისპირ გასაუბრება; კომუნიკაცია ტელეფონით/ელ.ფოსტით; პროექტის დოკუმენტაციის გავრცელება კულტურულად მისაღები და ხელმისაწვდომი ფორმით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდებზე; თემთან შეხვედრები.	სამინისტრო, მგფ, პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი (პგკ)	მინიმუმ ერთი ძირითადი შეხვედრა ობიექტის შესწავლის დაწყებამდე.
	მშობლები და წარმომადგენელი ჯგუფები, მშობელ-მასწავლებელთა გაერთიანება; მოსწავლეთა ხელმძღვანელი / საბჭო;	პრეზენტაცია - პროექტის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის, პროექტის რისკებისა და ზეგავლენის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის	პროექტის დოკუმენტაციის გავრცელება კულტურულად მისაღები და ხელმისაწვდომი ფორმით; თემთან შეხვედრები.	სამინისტრო, მგფ, პგკ	მინიმუმ ერთი ძირითადი შეხვედრა.

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის თემა	გამოყენებული მეთოდი	პასუხისმგებელი	სიხშირე / განრიგი
		გეგმის და ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმის და პროექტით მიღებული სარგებლის შესახებ.			
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები; ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები; მარტოხელა მშობლები და სოციალურად დაუცველი ოჯახები; სკოლის ხანდაზმული თანამშრომლები.	პრეზენტაცია - პროექტის, ფუნქციური გაუმჯობესების მასშტაბის, საჩივრების განხილვის მექანიზმის და პროექტით მიღებული სარგებლის შესახებ.	პროექტის დოკუმენტაციის გავრცელება კულტურულად მისაღები და ხელმისაწვდომი ფორმით; თემთან შეხვედრები.	სამინისტრო, მგფ, პგკ	მინიმუმ ერთი ძირითადი შეხვედრა, დამატებითი შეხვედრები საჭიროებისამებრ მთელი პროექტის განმავლობაში.
	კომუნალური მომსახურების პროვაიდერები;	კომუნალურ მომსახურებებში შესაძლო შეფერხებების შესახებ კოორდინაცია.	პირდაპირი კონსულტაციები / კომუნიკაცია ტელეფონით ან ელ.ფოსტით.	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	საჭიროებისამებრ მთელი პროექტის განმავლობაში.

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის თემა	გამოყენებული მეთოდი	პასუხისმგებელი	სიხშირე / განრიგი
	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო ორგანიზაციები – არსებობის შემთხვევაში.	პროექტის გამჭვირვალობა, საზოგადოებისთვის სარგებელი და ანგარიშვალდებულება, პროექტის არატექნიკური ნაწილის მიმოხილვა.	პროექტის დოკუმენტაციის გავრცელება კულტურულად მისაღები და ხელმისაწვდომი ფორმით; თემთან შეხვედრები.	მგფ, პგკ	მინიმუმ ერთი ძირითადი შეხვედრა, დამატებითი შეხვედრები საჭიროებისამებრ მთელი პროექტის განმავლობაში.
	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	პროექტის არატექნიკური ნაწილის შეჯამება, საგზაო უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა, პროექტის განხორციელების ვადები და განახლებები	საკოორდინაციო შეხვედრები	მგფ, პგკ	რეგულარული კოორდინაცია პროექტის განმავლობაში
მშენებლობის პერიოდში	შესაბამისი სახელმწიფო უწყებები	კოორდინაცია მარეგულირებელ და პარტნიორ სახელმწიფო უწყებებთან	ჯგუფური შეხვედრები	სამინისტრო, მგფ	საჭიროებისამებრ
	სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახებისა და ბიზნესის წარმომადგენლები	ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი, საჩივრებზე/უკუკავშირზე	საჯარო კონსულტაციები, საინფორმაციო დაფა, საინფორმაციო მაგიდები.	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	მშენებლობის განმავლობაში, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის თემა	გამოყენებული მეთოდი	პასუხისმგებელი	სიხშირე / განრიგი
		რეაგირება			
	სკოლის დირექტორები, სკოლის ტექნიკური პერსონალი	კონტრაქტორების მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დაცვა; საკითხების გადაწყვეტა მშენებლობის პროცესში	რეგულარული შეხვედრები	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	მშენებლობის განმავლობაში, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
	თემის ხელმძღვანელები, მშობელ-მასწავლებელთა გაერთიანება, მოსწავლეთა ხელმძღვანელი / საბჭო	ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი, საჩივრებზე/უკუკავშირზე რეაგირება	საინფორმაციო მაგიდები, საჯარო შეხვედრები.	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	საჭიროებისამებრ, მშენებლობის განმავლობაში.
	რეგულარული მგზავრები აღნიშნულ ლოკაციაზე და მიმდებარე თემები	ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი, საჩივრებზე/უკუკავშირზე რეაგირება	საინფორმაციო მაგიდები, საჯარო შეხვედრები.	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	საჭიროებისამებრ, მშენებლობის განმავლობაში.

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	კონსულტაციის თემა	გამოყენებული მეთოდი	პასუხისმგებელი	სიხშირე / განრიგი
	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	კონტრაქტორების მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დაცვა; მშენებლობისას წარმოქმნილი პრობლემები / ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი და საჩივრებზე რეაგირება	საკოორდინაციო შეხვედრები	მგფ, პგკ, კონტრაქტორები	საჭიროებისამებრ, მშენებლობის განმავლობაში.

4.4 დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება

დაინტერესებული მხარეები რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას პროექტის შესახებ, მათ შორის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლების, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის, საჩივრების განხილვის მექანიზმის და პროექტის საერთო პროგრესის შესახებ.

5 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის რესურსები და პასუხისმგებლობები

5.1 რესურსები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალური განვითარების ფონდი. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებებს განახორციელებს პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი (პგკ), მუნიციპალური განვითარების ფონდთან კოორდინაციით. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების საორიენტაციო ბიუჯეტი წარმოდგენილია №3 ცხრილში.

ცხრილი 3 – რესურსები

კატეგორია	გამოყოფილი ბიუჯეტი
1. პერსონალი და ტრენინგი	
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილი სპეციალური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს კოორდინაციასა და კომუნიკაციას.	კონსულტანტი – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ექსპერტი. თანამშრომლის ანაზღაურების ხარჯები გათვალისწინებულია კონსულტანტის ბიუჯეტში (13.5 ადამიანი-თვე).
შესაძლებლობების გაუმჯობესების ტრენინგი დაინტერესებული მხარეებისთვის - კონტრაქტორებისთვის, პროექტის მართვის ჯგუფის თანამშრომლებისთვის და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.	კონსულტანტი – ტრენინგისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ექსპერტი. თანამშრომლის ანაზღაურების ხარჯები გათვალისწინებულია კონსულტანტის ბიუჯეტში (0.85 ადამიანი-თვე).
2. კომუნიკაციის მასალები	
საინფორმაციო დაფები, დამზადება და მონტაჟი.	2,000 ევრო
ბუკლეტების, პოსტერებისა და ბროშურების დამზადება, პროექტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის ეფექტურად გავრცელებისთვის.	2,000 ევრო
3. საჩივრების განხილვის მექანიზმი	
წინადადებებისა და საჩივრების ყუთების განთავსება; საჩივრების განხილვის მექანიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და გავრცელება.	2,000 ევრო
4. სხვა ხარჯები	
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებების რეგულარული მონიტორინგი,	კონსულტანტი – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ექსპერტი.

კატეგორია	გამოყოფილი ბიუჯეტი
პროგრესის შეფასების და არსებული გამოწვევების დროულად გადაწყვეტის მიზნით.	თანამშრომლის ანაზღაურების ხარჯები, მათ შორის ხელფასი და მივლინების ხარჯები, გათვალისწინებულია კონსულტანტის ბიუჯეტში (12.5 ადამიანი-თვე).

5.2 მართვის ფუნქციები და პასუხისმგებლობები

პროექტის განმახორციელებელი უწყებაა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. იგი პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული აქტივობების, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებაზე და პროექტის ბენეფიციარებთან სხვადასხვა არხით კომუნიკაციაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის საქართველოში არსებული ყველა საჯარო სკოლა. სამინისტრო მონაწილეობას მიიღებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებაში და საჩივრების გადაწყვეტაში. აღნიშნული ასევე მოიცავს პროექტის ბენეფიციარებთან სხვადასხვა არხით კომუნიკაციას.

პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „ფიხტნერი“, პასუხისმგებელი იქნება პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ფაზებზე. ეს მოიცავს ფინანსურ და ლოგისტიკურ ნაწილს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის უზრუნველყოფას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ღონისძიებების დაგეგმვას, განხორციელებას, ზედამხედველობასა და მონიტორინგს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერასა და ანგარიშგებას.

პროექტის კონსულტანტი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებებს შემდეგი გზით:

უკუკავშირის მექანიზმები – კონსულტაციების, შეხვედრებისა და გამოკითხვების დროს მიღებული მოსაზრებები დაფიქსირდება და დამუშავდება დეტალურად, მომზადდება შეხვედრების ოქმები, დამსწრეთა ხელმოწერილი სიები.

საჩივრების განხილვის დოკუმენტაცია – ყველა საჩივარი დარეგისტრირდება და დამუშავდება საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით, განახლებები და შედეგები აისახება დოკუმენტურად.

რეგულარული ანგარიშგება – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის გამოწვევები და პროგრესი, შეჯამდება პერიოდულ ანგარიშებში და გადაეცემა მუნიციპალური განვითარების ფონდს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს.

6 6 საჩივრების განხილვის მექანიზმი

6.1 საჩივრების განხილვის მექანიზმის მიმოხილვა

საჩივრების განხილვის მექანიზმი სტრუქტურირებული პროცესია, რომელიც განკუთვნილია დაინტერესებული მხარეების — განსაკუთრებით კი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საჩივრებისა და პრობლემების შეფასებისა და გადაჭრისთვის. იგი წარმოადგენს პროექტის განმახორციელებლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის არხს და უზრუნველყოფს საკითხების დროულად და სამართლიანად გადაწყვეტას.

გარდა საჩივრების განხილვისა, მექანიზმი ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირისა და წინადადებების მიღებას, გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და ქმნის თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას პროექტის გუნდსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. მექანიზმი მოიცავს პროექტის მთელ ციკლის – მოსამზადებელი ეტაპიდან დასრულებამდე – და ეხება სხვადასხვა საკითხს, მათ შორის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებას.

საჩივრების განხილვის მექანიზმის ძირითადი მოთხოვნები:

- საჩივრების განხილვის მექანიზმით სარგებლობა უნდა შეეძლოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს. მექანიზმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივ ენებზე და არ უნდა მოიცავდეს რთულ პროცედურებს ან ხარჯებს;
- პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და დაინტერესებულ მხარეს მიეწოდოს მკაფიო ინფორმაცია საჩივრების შეტანის, განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ;
- საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა ითვალისწინებდეს საჩივრის მიღების, შეფასების და გადაჭრის თითოეული ეტაპის კონკრეტულ ვადებს;
- მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს მომჩივნების კონფიდენციალურობა და დაიცვას ნებისმიერი სახის ზეწოლისგან;
- საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა იყოს ინკლუზიური, რაც გულისხმობს, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი – განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები – ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მექანიზმის არსებობის შესახებ და მარტივად შეეძლოთ მისი გამოყენება.

საჩივრების განხილვის პროცედურები

მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრების განხილვის მექანიზმი შეიქმნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ნებისმიერი შენიშვნა, ან შეშფოთება, ფონდს შეიძლება წარედგინოს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით, ან საჩივრის სპეციალური ფორმის შევსებით. საჩივრის ფორმა და პროცედურის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის საკონტაქტო პირები) დაინტერესებულ მხარეებს გადაეცემათ კონსულტაციებისა და შეხვედრების დროს. თითოეულ სამშენებლო ობიექტზე განთავსდება საინფორმაციო ბანერები, რომელზეც მითითებული იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის მონაცემები, საჩივრების ყუთი და საჩივრის ფორმები (ანონიმურად შესავსები).

საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში, საკონტაქტო პირებს გამოყოფს როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდი, ასევე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ყველა საჩივარი, მათ შორის ანონიმურად შეტანილი, დარეგისტრირდება საჩივრების განხილვის მექანიზმის ჟურნალში. ზედამხედველობის კომპანიამუნიციპალური განვითარების ფონდი და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომებენ და ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას ყველა საჩივარზე და პრეტენზიაზე. საჩივრების დაფიქსირება შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ზეპირად: მუნიციპალური განვითარების ფონდის შემთხვევაში – ელ.ფოსტით: feedback@mdf.org.ge, სატელეფონო ზარით/მესიჯით: +995 598 88 20 19; სამინისტროს შემთხვევაში – ტელეფონით: +995 577 96 39 67, ელ. ფოსტით - dtskitishvili@mes.gov.ge ასევე საზედამხედველო კომპანიის საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი მითითებული იქნება საინფორმაციო ბანერზე.

საჩივრების განხილვა და მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი პროცედურების დაცვით:

- პირველი ეტაპი – კონტრაქტორი საზედამხედველო კომანიასთან ერთად იღებს საჩივარს და ცდილობს გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი არ/ვერ გადაწყდა, მას ეცნობება მეორე ეტაპის პროცედურების შესახებ. პირს უფლება აქვს პირდაპირ ისარგებლოს მეორე ეტაპის პროცედურებით, პირველი ეტაპის გაუვლელად. ფონდს ეცნობება პირველ ეტაპზე წარმოდგენილი ყველა საჩივრის შესახებ, ჟურნალის მეშვეობით და განახორციელებს დისტანციურ მონიტორინგს.
- მეორე ეტაპი – საჩივარს იღებს და განიხილავს მუნიციპალური განვითარების ფონდი. საჩივრების გადაჭრის მიზნით, ფონდში მოქმედებს საჩივრების განხილვის კომისია (იხილეთ დანართი „B“: მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრების განხილვის სქემა).

თუ საჩივარი ვერ გადაწყდა ვერც პირველ და ვერც მეორე ეტაპზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

საჩივრების დაფიქსირება შეიძლება ობიექტზე (საჩივრის ყუთის) ან სხვა არხების მეშვეობით, მაგალითად ელ.ფოსტით, ან ტელეფონით. საჩივრის ფორმები ხელმისაწვდომი იქნება ობიექტზე და საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შეავსონ ანონიმური საჩივრის ფორმები. თუ საჩივარი ფიქსირდება ობიექტზე, კონტრაქტორი ვალდებულია დაარეგისტრიროს და გადაწყვიტოს პირველი ეტაპის პროცედურის გავლით. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ გადაწყვეტს საჩივარს, პროცესში ჩაერთვება მუნიციპალური განვითარების ფონდი, მეორე ეტაპის შესაბამისად. საზედამხედველოკომპანია პასუხისმგებელი იქნება მიიღოს კონტრაქტორებისგან საჩივრების ჟურნალი და გაუზიაროს ფონდს. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ეტაპი საჩივრის შემოსატანად – მათ შორის, პირდაპირ მეორე ეტაპი (იხილეთ დანართი „C“: საჩივრის ფორმა).

ყველა ზეპირი ან წერილობითი საჩივარი დარეგისტრირდება დაუყოვნებლივ, კონტრაქტორის ან მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მისი მიღებისთანავე. საჩივრებზე რეაგირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საჩივრის მიღების დადასტურება ხდება 2 სამუშაო დღეში; საწყისი პასუხი – 10 სამუშაო დღეში; საბოლოო გადაწყვეტა – 30 სამუშაო დღის ან მეტ ვადაში (სირთულის მიხედვით).

მუნიციპალური განვითარების ფონდი საჩივრებზე რეაგირებას და გადაწყვეტას მოახდენს მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

კონტრაქტორის პერსონალის საჩივრების განხილვის მექანიზმი

მშენებლობის ფაზაში, კონტრაქტორები აწარმოებენ საჩივრების მართვის დამოუკიდებელ მექანიზმს, რათა კონტრაქტორის პერსონალს შესაძლებლობა ჰქონდეს გამოხატონ სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საჩივრები, ეს მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევა, დისკრიმინაციის შემთხვევები, თანაბარი შესაძლებლობების უგულებელყოფა, სამუშაო პირობები და ხელფასები. შრომითი საჩივრების მექანიზმი დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შრომის მართვის პროცედურებში..

6.2 დაინტერესებული მხარეების ინფორმირება საჩივრების განხილვის მექანიზმზე

ეფექტიანი საჩივრების განხილვის მექანიზმის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებისთვის პროექტის შესახებ ნათელი, ხელმისაწვდომი და დროული ინფორმაციის მიწოდება.. ინფორმაციის გამჭვირვალე და სრულყოფილი გაცემა ხელს უწყობს მოლოდინების მართვას, გაუგებრობების თავიდან აცილებას და აძლიერებს საზოგადოების ჩართულობას.. შესაბამისად, განხორციელდება კომუნიკაციის ყოვლისმომცველი გეგმა, რომლის ფარგლებშიც, პროექტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით.

დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების ძირითადი მეთოდები:

- **საჯარო საინფორმაციო აქტივობები** – პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით სკოლებსა და მიმდებარე თემებში, გაიმართება საინფორმაციო სესიები და საჯარო კონსულტაციები. ამ ღონისძიებების მიზანია დაინტერესებული მხარეების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობების, პროექტის ვადების და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. შეხვედრები ასევე უზრუნველყოფს სივრცეს, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ კითხვების დასმა და პროექტის გუნდისთვის პირდაპირი უკუკავშირის მიწოდება.
- **საინფორმაციო ბანერები სამშენებლო ობიექტებზე** – თითოეულ სამშენებლო ობიექტზე განთავსდება საინფორმაციო ბანერები და დაფები, რომლებზეც მოცემული იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო ინფორმაცია, საჩივრების ყუთები და შესავსები ფორმები (ანონიმური საჩივრებისთვის). აღნიშნული ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის და გასაგებად განმარტავს საჩვრის დაფიქსირების და უკუკავშირის მიღების ფორმებს (მაგალითად: ელ.ფოსტით, ტელეფონით, პირადად მიმართვით).
- **მოსახლეობასთან კომუნიკაცია და ჩართულობა** – საჯარო აქივობების გარდა, პროექტის გუნდი იმუშავებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, სკოლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ ცნობადობის გაზრდისა და აქტიური მონაწილეობის წახალისების მიზნით.

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალური **ვებგვერდები**.

7 მონიტორინგი და ანგარიშგება

7.1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მონიტორინგი განხორციელდება როგორც ხარისხობრივად (პროგრესის ანგარიშებზე დაყრდნობით), ასევე რაოდენობრივად – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მართვის შედეგების მიხედვით.

7.2 ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეებისთვის

მუნიციპალური განვითარების ფონდი და პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჯგუფი მოახდენენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხით, მათ შორის ტელეფონით, ელ.ფოსტით და პროექტის ფარგლებში მოწყობილი შეხვედრებით (პირად ან საჯარო ფორმატში). განცხადებები საჯარო შეხვედრებთან დაკავშირებით განთავსდება სკოლების საინფორმაციო დაფებზე და სხვა საჯარო სივრცეებში. საჯარო საჩივრების, კითხვების და ინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშები, მათ შორის შესაბამისი პრევენციული ზომების გატარების სტატუსები, დაფიქსირდება პასუხისმგებელი პირების მიერ და წარედგინება პროექტის ხელმძღვანელ რგოლს. კვარტალური შეჯამება არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შეფასდება როგორც საჩივრებისა და ინფორმაციის მოთხოვნების რაოდენობა და სახეობა, ასევე მათი დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტის უნარი.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის მონიტორინგის ანგარიშებს მოამზადებს პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი და წარუდგენს მუნიციპალური განვითარების ფონდს ყოველკვარტალურად, ხოლო KfW-ს ყოველწლიურად. აღნიშნულ ანგარიშებში ცალკე გამოიყოფა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მართვის საკითხები.

დანართები

დანართი „A“: კონსულტაციების ფორმა

დაინტერესებული მხარე (ჯგუფი ან პირი)	კონსულტაციის თარიღი	უკუკავშირის შეჯამება	პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის პასუხი	რეაგირება / მომდევნო ნაბიჯები	განრიგი / მომდევნო რეაგირების თარიღი

დანართი „B“: მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრების მართვის პროცესი



დანართი „C“: მუნიციპალური განვითარების ფონდის საჩივრის ფორმა

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი გამოხმაურება/უკუკავშირი

გახსოვდეთ, რომ თქვენი გამოხმაურება/უკუკავშირი შეიძლება ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესების და პრობლემების უკეთესად გადაწყვეტის შესაძლებლობა გახდეს

გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება

1. პროექტის/სამუშაოს ადგილმდებარეობა - მუნიციპალიტეტი, დაბა, სოფელი, ქალაქი, ქუჩა

_____

_____

_____

_____

2. **კომენტარი** ☐ **ინფორმაცია** ☐ **რჩევა** ☐ *(ივსება მხოლოდ კომენტარის დაფიქსირების, ინფორმაციის მოწოდების ან რჩევის მოცემის შემთხვევაში)*

_____

_____

_____

_____

_____

3. **საჩივარი** ☐ *(ივსება მხოლოდ საჩივრის დაფიქსირების შემთხვევაში)*

საკითხის აღწერა: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოთხოვნა: _____

თუ გსურთ თქვენი გამოხმაურება/უკუკავშირი დარჩეს ანონიმური გთხოვთ, მხოლოდ თარიღი მიუთითოთ ქვემოთ მოცემულ ველში

შევსების თარიღი:	საკონტაქტო ნომერი:
სახელი და გვარი: პ/ნ:_____	მისამართი:
ელ. ფოსტა:	ხელმოწერა:

დანართი „D“. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის განრიგი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები განხორციელდება პროექტის ძირითადი ეტაპების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. აქტივობების ზუსტი გრაფიკი პროექტის პროგრესის შესაბამისად განისაზღვრება. კონსულტაციები წარიმართება წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად,შემდეგი ფორმით:

მშენებლობის დაწყებამდე – სამშენებლო მოედნისშესწავლისა და პროექტირების დასრულებამდე, გაიმართება კონსულტაციები ძირითად დაინტერესებული მხარეებთან, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, მოსწავლეთა წარმომადგენლებთან და მოწყვლად ჯგუფებთან. შეხვედრებზე დაინტერესებული მხარეები გაეცნობიან პროექტის დეტალებს, შესაძლო რისკებსა და სარგებელს, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმს. დაინტერესებულ მხარეთა თითოეულ ჯგუფთან ჩატარდება მინიმუმ ერთი ძირითადი შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში კი დაიგეგმება დამატებითი კონსულტაციები.

მშენებლობის ეტაპზე – პროექტის განხორციელების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი და მიზნობრივი ჩართულობა, რათა მოხდეს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტური მონიტორინგი და დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი საკითხებზე დროული რეაგირება. . სკოლის პერსონალთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ ჯგუფებთან გაიმართება კონსულტაციები, საჯარო შეხვედრების, საინფორმაციო დაფების და რეგულარული კოორდინაციის მეშვეობით. სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრებ ოჯახებს და ბიზნესებს ინფორმაცია მიეწოდებათ საინფორმაციო დაფებით და პირდაპირი კომუნიკაციით.